სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: ებრაულ-არამეული ფილოლოგია

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მარიამ ჩაჩიბაია,

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
ა) მიზანი:
სადოქტორო პროგრამა ებრაულ-არამეულ ფილოლოგიაში, მოიცავს, როგორც საკუთრივ ებრაულ-არამეული ფილოლოგიის პრობლემების კვლევას თანამედროვ დონეზე, ისე მათ შესწავლას ქართველოლოგიური კუთხით და ინტერესებით. სადოქტორო პროგრამა ასევე ითვალისწინებს ებრაულ-არამეული ფილოლოგიის ქართველურ პრობლემათა ინტერნაციონალიზაციის რეალურ შესაძლებლობებს. პროგრამა საშუალებას აძლევს დოქტორანტს იმისათვის, რომ მისი სამეცნიერო ინტერესები რაც შეიძლება ფართო იყოს სპეციალიზაციის შესაძლებლობებთან ერთად. ამ მიზნით პროგრამა თავაზობს დოქტორანტს არცთუ ვიწრო სფეროს. ესენია: ზოგადი ბიბლეისტიკა ქართულ პრობლემატიკასთან ერთად (ბიბლიის ქართული თარგმანის ძველი პლასტები), ებრაული და არამეული ენების სტრუქტურა, სემიტურ-ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობანი, არამეული კულტურის კერები და ადრექრისტიანული პრობლემატიკა, იუდაიზმი, ებრაული კულტურა დიასპორებში, თანამედროვე ებრაული ენა და ლიტერატურა.
სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება ქართული კულტურის ის საკითხები, რომელთა გამოკვლევისათვის უთუოდ საჭიროა სემიტური მონაცემების მოხმობა. კერძოდ, სემიტური ენების გავლენა ქათულ ლექსიკაზე (ადრინდელი ეპოქაში მომხდარი ნასესხობანი) და ცალკეული სემიტური ენების, ებრაული და არამეული ენების როლი საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდის ქართული დამწერლობისა და ფილოლოგიის მრავალი საკითხის შესწავლისას. ებრაული და არმეული ენების მოხმობა საჭირო შეიქნა სპეციალისტებისათვის ქართული მწერლობის დასაწყისი პერიოდის პრობლემების კვლევისას, კერძოდ, საკითხი თუ რა მიმართებაშია ბიბლიური ტექსტების ქართული თარგმანები ებრაულ დედანთან, ან მის არამეულ (სირიულ) ვარიანტებთან, რა თქმა უნდა, ბერძნული და სომხური ტექსტების გათვა-ლისწინებით, რაც დღემდე არ არის საბოლოოდ გადაჭრილი, თუმცა ბევრი ნაშრომი გვაქვს.
საქართველოსთვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არამეულ ენას. არამეული (არმაზული) ეპიგრაფიკული წარწერების კორპუსი ქართველოლოგთა და სემიტოლოგთა განსაკუთრებული ყურადღების საგანია. ეს წარწერები კვლავაც მრავალ საკითხს აყენებს მეცნიერთა წინაშე, რომელთა კვლევა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს.
ბ)სადოქტორო პროგრამის შედეგები:
პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტს:
1.1 ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა ებრაულ-არამეულ ფილოლოგიის სფეროში, რაც მას შესაძლებლობას მისცემს მუშაობა წარმართოს საერთაშორისო პუბლიკაციების აუცილებელი სტანდარტის დონეზე. ის ასევე, შეძლებს შეძენილი ცოდნისა და მეთოდების სწორ გამოყენებას კონკრეტულ მასალასთან მიმართებაში, დაეუფლება ტექსტუალური კრიტიკის ზოგად და სპეციფიკურ სფეროებს, აღმოსავლური ენების ღრმა ცოდნა და სხვადასხვა ჟანრის ტექსტების კითხვის გამოცდილება ავტორისა თუ ჟანრის სტილისტიკაში გარკვევის შესაძლებლობას მისცემს.
1.2. გამოუმუშავდება ანალიზისა და სინთეზის უნარი ებრაულ-არამეული ფილოლოგიის სფეროში არსებული პრობლემების შესწავლისა თუ კვლევისას, რაც მას შესაძლებლობას მისცემს ჰქონდეს ახალი მეთოდოლოგიის შემუშავების უნარი.
1.3. დარგში მიღებული კომპეტენციის საფუძველზე ფილოლოგიური პრობლემის გადაჭრას და გადაწყვეტილების მიღებას, დროის სწორად გამოყენებას, ჯგუფის, მათ შორის ინტერდისციპლინარულ კვლევებზე ორიენტირებულ სამეცნიერო ჯგუფების ხელმძღვანელობას.
1.4. შეძლებს ამოცანების მკაფიოდ ჩამოყალიბებას, ჯგუფის სხვა წევრთა შესაძლებლობების სწორად გამოყენებას, კონფლიქტური სიტუაციების აცილებას.

1.5. სამეცნიერო რესურსების სრული სპექტრის გამოყენებას; კვლევის დაგეგმვასა და მის განხორციელებას უახლეს მეთოდებსა და მიდგომებზე დაყრდნობით.
1.6. ის თავისუფლად გამოიყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, ექნება მულტიმედიური კომპეტენცია, რომელიც ხელს შეუწყობს აღმოსავლური ფილოლოგიის პრობლემატიკის კვლევისას მათ შემოქმედებით და კრიტიკულ გამოყენებას.
1.7. დოქტორანტი შეძლებს საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სიმპოზიუმებზე გამოსვლას და საჭიროების შემთხვევაში, საქართველოსა თუ უცხოეთში, ლექციების წაკითხვას.

გ) კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროები:

ჰუმანიტარული პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ბიბლიოთეკები, არქივები, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და სხვა ფონდები, საგამომცმლო ორგანიზაციები, მასმედია, არასამთავრობო სექტორი და სხვ.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.
2. სამუშაო გამოცდილების ქონა არ არის სავალდებულო;
3. უცხო (ინგლისური, ფრანგული, გერმანული) ენის ცოდნა მინიმუმ B-2 დონეზე. შესაძლებელია შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენაც.

სასწავლო კომპონენტი:

სავალდებულო: 35 კრედიტი

- სწავლების თანამედროვე მეთოდები – 5 კრედიტი
- მეცნიერების მენეჯმენტი - 5 კრედიტი
- დოქტორანტების კოლოკვიუმი (2) – 10 (5+5) კრედიტი
- პროფესორის ასისტენტობა - 15

არჩევითი: 25 კრედიტი

- საუნივერსიტეტო არჩევითი კურსები - 5-25
- უცხოურ უმაღლეს სასწავლებელში გავლილი კურსები - 2-60 კრედიტი
- საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებელში მოსმენილი კურსები - 5-30 კრედიტი

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულეტეტის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტს აქვს დოქტორანტებისათვის სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დოქტორანტს შეუძლია ისარგებლოს თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსავლემცოდნეობის ინსტიტუტის ბიბლიოთეკით (თსუ V კორპუსი), თსუ კომპიუტერული მომსახურების ცენტრით, აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ებრაისტიკა-არამეისტიკის დეპარტამენტის კუთვნილი კაბინეტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.
დოქტორანტებს შეუძლიათ ჩაეწერონ მოკლევადიანი სტაჟირების პროგამებზე, რომლებსაც უზრუნველყოფს აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ებრაისტიკა-არამეისტიკის დეპარტამენტი, მახლობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების საელჩოების დახმარებით (ყოველი ასეთი კონკრეტული შემთხვევა საჭიროებს ინდივიდუალურ განხილვას).

რამდენი დოქტორანტის მიღებაა შესაძლებელი:

მოსალოდნელია, რომ დოქტორანტურაში ამ პროგრამით ჩაირიცხება ერთი მაგისტრი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებით სპეციალისტის მოწვევა.

პროგრამაში მონაწილე პერსონალი: ასოცირებული პროფესორი მარიკა ჩაჩიბაია